ოქმი N6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2020 წლის 26 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 სექტემბრის N34 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. სიჭინავა, ი. ნადარაია, ბ. მამაცაშვილი)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მოქალაქე ლევან ჯობავა საკრებულოში შემოვიდა განცხადებით, რომელსაც სურს განცხადების გაკეთება და მას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ, მიეცემა საშუალება გააკეთოს განცხადება მისთვის სასურველ თემაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 სექტემბრის N34 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 სექტემბრის N34 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიაში შესულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან წერილი, მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შორის 2010 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის N1 ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, პრობაციის ადგილობრივი სამსახურის სხვა შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 სექტემბრის N34 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტი დამტკიცებულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: , ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N16 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ განცხდებისთვის სიტყვა მისცა მოქალაქე ლევან ჯობავას

მოისმინეს: ლ. ჯობავა - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ ქალაქ ხობიდან მიუსაფარი ძაღლები გაჰყავს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ქალაქიდან და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შემოყავს სხვა ქალაქიდან აყვანილი ძაღლები, რომლებსაც ისევ უშვებენ ქალაქის ტერიტორიაზე, ამ ფაქტს შეესწრო ქალაქის მოსახლეობა და აღნიშნული პრობლემა სასწრაფოდ მოსაგვარებელია. გამომსვლელმა ასევე ისაუბრა ქალაქში ნაგვის ურნების დამატებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამჟამად არსებული ნაგვის ურნები არ არის საკმარისი და მისი თხოვნა იქნება, რომ დამატებით განთავსდეს ნაგვის ურნები.

აზრი გამოთქვეს: ნ. ბუკია - შპს „ხობი დასუფთავება და განათების" დირექტორი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შეკვეთა გაგზავნილია და ელოდებიან ურნების ჩამოტანას, რის შემდგომაც გადანაწილებულ იქნება ქალაქის მთელს ტერიტორიაზე. მისი განცხადებით აქვთ პრობლემა პატარა ურნებთან დაკავშირებით, პატარა ურნების შესაძენად ბიუჯეტში თანხა არ გააჩნიათ და ვერ ახორციელებენ შესყიდვას, რისთვისაც დამატებით თანხები იქნება მოსაძიებელი.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ თანხის გამოყოფასთან დაკავშირებული პრობლემა მოგვარდება, ხოლო რაც შეეხება მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებულ პრობლემას, ეს მართლაც არსებობს მუნიციპალიტეტში. მისთვის გაუგებარია რატომ ვერ ან არ ასრულებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებულ გასატარებელ ღონისძიებებს. აღნიშნულ პრობლემას დროულად უნდა მიექცეს ყურადღება და მერიის შესაბამის სამსახურებს მოუწოდა მეტი ყურადღებით

გააკონტროლონ და მოაგვარონ ეს პრობლემა და თუ ვერ ასრულებს აღნიშნული კომპანია მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მაშინ, რაღაც ზომები უნდა იქნეს გატარებული.

თ. გულუა - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე - გამომსვლელი დაეთანხმა წინა გამომსვლელებს და აღნიშნა, რომ მართლაც გაუსაძლისი მდგომარეობაა ქალაქის ტერიტორიაზე მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით და ამიტომაც მოსახლეობა გამოთქვამს სამართლიან პრეტენზიებს.

კ. თუთბერიძე - მერის წარმომადგენელი ქ. ხობის ადმინისტრაციული ერთეულ ერთეულში - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ქალაქში მართლაც იმატა მაწანწალა ძაღლების რაოდენობამ, ასევე არის დაკბენის შემთხვევები, გამომდინარე აქედან, აღნიშნული საკითხი სასწრაფოდ მოსაგვარებელია. მინიმუმ ყველა ძაღლი უნდა აიცრას ცოფისგან.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სასწრაფოდ მოსაგვარებელია მიუსაფარი ძაღლების და ქალაქში დამატებით ურნების განთავსების პრობლემა, მაგრამ არის კიდევ ერთი პრობლემა, კერძოდ; უსახლკარო მოქალაქე ღამეს ათევს ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაცდელში, სადაც ანტისანიტარია და საშინელი მდგომარეობაა. გამომსვლელმა თხოვნით მიმართა მერიის შესაბამის სამსახურებს, რათა დროულად მოაგვარონ აღნიშნული პრობლემა და დროულად მოხდეს უსახლკარო მოქალაქის ბინით უზრუნველყოფა.

კ. თუთბერიძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ მისთვის ცნობილია აღნიშნული პრობლემა, რომლის მოგვარებაც რამდენჯერმე სცადეს, აღნიშნულ მოქალაქეს რამდენჯერმე გამოუყვეს საცხოვრებელი ფართი, მაგრამ სამწუხაროდ მოქალაქე იქ არ ჩერდება. თუ თვითონ არ დათანხმდა, მათ იძულებით გადაყვანის უფლება არ გააჩნიათ, მაქსიმალურად ცდილობენ მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად დროულად მოაგვარონ აღნიშნული პრობლემა თუ მოქალაქეც შეუწყობს ხელს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2020 წლის 26 ივნისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანტარია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. ბექა მამაცაშვილი
7. მერაბ ფილიპია
8. დოდო გაბუნია
9. თემური გულუა
10. აბელი ქირია
11. შადიმან ჭილაია
12. კოსტანტინე ნასარაია
13. დავით ცინაძე
14. ნიკოლოზ ვეკუა
15. ია ჯიშკარიანი
16. დიტო ხასია
17. რამინი ხილაძე
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. ლაშა ცატავა
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. მზია ლემონჯარია
26. კობა გოქაძე
27. გოჩა სიჭინავა